დუშეთის მაცნე

№2 (117)
5 ივნისი
2024 წელი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერიოდული საინფორმაციო ბიულეტენი. ვრცელდება უფასოდ

2

დავით ნოზაძემ მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებთან სამუშაო შეხვედრა გამართა

3

გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა

2

მცხეთა-მთიანეთის რეგიონს ახალი ნაგავმზიდები გადაეცა

3

„...დღეს, როგორც არასდროს, უნდა გავუფრთხილდეთ საქართველოს ეროვნული იდენტობის სამ საყრდენს - მამულს, ენას და სარწმუნოებას“

სასკოლო-სპორტული ტურნირი გეზრბენში

4

თეატრალური ფესტივალი „ოქროს ნიღაბი“

4

კომპოზიტორ შალვა დავითაშვილის შემოქმედების საღამო

4

ოჯახის სიწმინდის დღე

6

„...დღეს, როგორც არასდროს, უნდა გავუფრთხილდეთ საქართველოს ეროვნული იდენტობის სამ საყრდენს - მამულს, ენას და სარწმუნოებას“

„3000 წელია, ქართველები ერთგულად შრომობდნენ, იბრძოდნენ და თავს წირავდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. იმპერიათა გზაგასაყარზე, სწორედ ამ ერთგულებამ და თავგანწირვამ შეაძლებინა ჩვენს პატარა, მაგრამ ამაყ ქვეყანას, შეენარჩუნებინა თავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ქედს ვიხრი თითოეული გმირის წინაშე, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობას ყველაზე ძვირფასი, საკუთარი სიცოცხლე შესწირა.

106 წლის წინ, 26 მაისს, აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და საფუძველი ჩაეყარა პირველ ქართულ რესპუბლიკას, რომელმაც, მართალია, მხოლოდ, 3 წელიწადი იარსება, მაგრამ დემოკრატიული მმართველობის უძვირფასესი მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

70-წლიანი საბჭოთა მმართველობის დასასრულს, 1990 წელს საქართველოში ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები, ხოლო 1991 წელს საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. მას შემდეგ, საქართველო გადის ერთგვარ მოსეს გზას, რომელიც, დარწმუნებული ვარ, „აღთქმულ მიწამდე“ აუცილებლად მიგვიყვანს.

ჩვენი „აღთქმული მიწა“, ანუ ქართული ოცნებაა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 40 წლის თავზე - 2030 წელს ვიცხოვროთ ერთიან და ძლიერ საქართველოში ჩვენს აფხაზ და ოს ძმებთან და დებთან ერთად, ერთიანი და ძლიერი საქართველო უნდა გახდეს 2030 წელს ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი.

გასული 34 წლის მანძილზე, საქართველომ მრავალი განსაცდელი გამოიარა. გამოვიარეთ სამი ომი 90-იანი წლების დასაწყისში. 2004-2012 წლებში გამოვიარეთ ფაქტობრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა, ავტორიტარიზმი, აგენტურის მმართველობა და მეოთხე ომი. საზოგადოების გამოუცდელობა და პოლიტიკოსების ღალატი ჩვენს ქვეყანას ტერიტორიების 20 პროცენტის დროებით დაკარგვად დაუჯდა. 2012 წლიდან დღემდე, გამოვიარეთ საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის შერყევის არაერთი მცდელობა, განსაკუთრებით ბოლო 4 წლის განმავლობაში.

საქართველო და მისი დამოუკიდებლობა დღესაც ურთულესი გამოწვევების წინაშე დგას. თუმცა, დღეს ქართული საზოგადოება ბევრად უფრო გამოცდილია, ვიდრე დამოუკიდებლობის აღდგენის პირველ წლებში იყო, ხოლო ქვეყანას მართავს ხელისუფლება, რომელიც საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის სადარაჯოზე დგას და მის ეროვნულ ინტერესებს იცავს.

სწორედ ხალხისა და მის მიერ არჩეული ხელისუფლების ერთიანობამ და გონივრულმა ნაბიჯებმა მოგვცა იმის შესაძლებლობა, რომ ეგზისტენციური საფრთხეების და მრავალმხრივი ღალატის, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტის ღალატის მიუხედავად, გასული 2 წლის განმავლობაში ქვეყანაში მშვიდობა შეგვენარჩუნებინა.

საქართველოს უახლესმა ისტორიამ და თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა განსაკუთრებული სიცხადით დაგვანახა, რომ სუვერენიტეტი ქვეყნის უსაფრთხოების ყველაზე ეფექტიანი გარანტიაა. სწორედ ამიტომ, დღეს, როგორც არასდროს უნდა გავუფრთხილდეთ საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. სწორედ ამიტომ, დღეს, როგორც არასდროს უნდა გავუფრთხილდეთ საქართველოს ეროვნული იდენტობის სამ საყრდენს - მამულს, ენას და სარწმუნოებას. სწორედ ამიტომ, დღეს, როგორც არასდროს უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს და დავამარცხოთ სიძულვილი, რადგან მტრობით დანგრეულის შენება მხოლოდ სიყვარულით არის შესაძლებელი.

3 ათასწლეულის განმავლობაში, იმპერიათა დაპირისპირების ეპიცენტრში მდებარე ჩვენი პატარა ქვეყანა ქართველებმა სწორედ სამშობლოს და ერთმანეთის სიყვარულით გადავარჩინეთ. დიდი იმპერიები ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ, რადგან მათი მამოძრავებელი ერთადერთი ძალა ანგარება და სიძულვილი იყო. ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენს ქვეყანას კი, რომელიც მამულს, ენას და სარწმუნოებას იცავდა და ღმერთის, სამშობლოს და ადამიანის სიყვარულს არ ივიწყებდა, საუკუნეების მანძილზე ღმერთი იფარავდა.

ღმერთის მფარველობით და თითოეული ჩვენგანის შრომითა და ბრძოლით, ჩვენ აუცილებლად ავიხდენთ ქართულ ოცნებას და შევქმნით ერთიან და ძლიერ საქართველოს, რომელიც სუვერენიტეტით, ღირსებით და ფასეულობებით დაიკავებს კუთვნილ ადგილს საერთო ევროპულ ოჯახში.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! ღმერთი იყო ჩვენი ქვეყნის მფარველი!“

26. 05. 2024წ.
წყარო - საქართველოს მთავრობის ვებგვერდი.

გაიმართა საკრებულოს მორიგი სხდომა

31 მაისს გაიმართა დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ ჩიტაური უძღვებოდა. სხდომაზე ხმათა უმრავლესობით მიღებულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

„დუშეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - სოფელ ანანურში მდებარე სავაჭრო ჯიხურების (უძრავი ქონების ს/კ 71.55.22.737) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვის მიზნით, უპირობო ელექტრონული აუქციონების გამოსაცხადებლად, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საკრამულში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ;

დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭონქაძის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ყვავილში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ;

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ლაზვიანში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ;

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ლაზვიანში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ;

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩანადირთკარში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ;

„დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების თაობაზე“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

„დუშეთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 იანვრის განკარგულება N3-ში ცვლილების შეტანის თაობაზე;

„დუშეთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 ივნისის N29 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

„დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - სოფელ ხევშაში მდებარე 275 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობის - სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვის მიზნით, უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოსაცხადებლად, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

დუშეთის მუნიციპალიტეტის დუშეთის ადმ. ერთეულის ქ. დუშეთში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ.

დავით ნოზაძემ მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებთან სამუშაო შეხვედრა გამართა

მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის, დავით ნოზაძის, ხელმძღვანელობით მცხეთის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების მერებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები.

მხარეებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესახებ იმსჯელეს. საუბარი შეეხო დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტებში მომხდარი სტიქიის შედეგებს, უკვე განხორციელებულ და დაგეგმილ სალიკვიდაციო ღონისძიებებს. კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ გეოლოგების წინასწარი ინფორმაციით, მეწყრული პროცესების მიუხედავად, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმს საფრთხე არ ემუქრება. გეოლოგიური დასკვნების საფუძველზე კი შესაბამისი უწყებების მხრიდან შემდგომი ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმევა.

ყურადღება გამახვილდა ზარალის დამთვლელი კომისიების მიერ შეფასების დროულად დასრულებაზეც. აღინიშნა, რომ უამინდობის გამო შექმნილი პრობლემების აღმოსაფხვრელად, ყველა სათანადო ღონისძიება, შესაბამისი სამსახურების ჩართულობით, ოპერატიულად უნდა გატარდეს.

შეხვედრის ფარგლებში ასევე განიხილეს მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები და „საქართველოს ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების პროგრამა 2024-2026“. გარდა ამისა, ხაზი გაესვა რეგიონის მასშტაბით არსებულ საჭიროებებს და მათი მოგვარების მიზნით, ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით, სამომავლოდ განსახორციელებელ ღონისძიებებს.

სახელმწიფო რწმუნებულსა და მუნიციპალიტეტების მერებს შორის მსგავსი სახის სამუშაო შეხვედრები ინტენსიურად იმართება, რაც მიზნად ისახავს, ყველა მხარის ჩართულობით, კოორდინირებულ და აქტიურ მუშაობას.

წყარო - mtskheta-mtianeti.gov.ge

მცხეთა-მთიანეთის რეგიონს ახალი ნაგავმზიდები გადაეცა

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, რეგიონებს ახალი ნაგავმზიდები გადაეცათ. გადაცემის ღონისძიებას დაესწრო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი – ნიკა ტყემალაძე. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულები და კომპანია „ჯითის“ წარმომადგენლები.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტებისთვის შეძენილია 82, 10 და 16-კუბიანი „ივეკოს“ ფირმის ნაგავმზიდები, რომლებიც საქართველოს ყველა რეგიონში (ჯამში 49 მუნიციპალიტეტში) გადანაწილდება. მათ შორის ამ ეტაპისათვის 2 ნაგავმზიდი გადაეცა დუშეთის, ხოლო 1 ნაგავმზიდი - თიანეთის მუნიციპალიტეტს.

ნაგავმზიდების შესყიდვა ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელდა, ხოლო ღირებულება 33 მილიონ ლარზე მეტს შეადგენს.

რეგიონების განვითარება ხელისუფლების პრიორიტეტია. განხორციელებული აქტივობა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტებს ნარჩენების მართვის კუთხით, ასევე, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

აღსანიშნავია, რომ პროგრამა ერთჯერადი არ არის. მთავრობის გადაწყვეტილებით, მუნიციპალიტეტებში არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, კვლავ გაგრძელდება ახალი ნაგავმზიდების შეძენა.

შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის გამარჯვებულმა კომპანიამ „ჯითი გრუპმა“ 48 ერთეული ნაგავმზიდი საქართველოში უკვე ჩამოიყვანა. პროცესი გრძელდება, მომდევნო თვეების განმავლობაში ტექნიკა ეტაპობრივად ჩამოვა საქართველოში.

ავტომობილები დამზადებულია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, აღჭურვილია ევრო 5 ემისსის სტანდარტის ძრავებით. ნაგავმზიდები არის სხვადასხვა წარმადობისა და სხვადასხვა რელიეფისთვის განკუთვნილი, მათ შორის აღსანიშნავია მძიმე პირობებისთვის გათვლილი 4X4 -ზე ავტომობილები, რომლებიც განკუთვნილია მაღალმთიანი რეგიონებისთვის, სადაც მკაცრი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, აუცილებელია მსგავსი ტიპის სატვირთო ავტომობილების გამოყენება, რათა მათ ყველა სეზონსა და ყველა კლიმატურ პირობებშიც შეძლონ ოპერირება.

წყარო - mtskheta-mtianeti.gov.ge



ძვირფასო მკითხველო,

ჩვიდმეტი წელია, **„დუშეთის მაცნე“** გამოიცემა. ამ ხნის მანძილზე უამრავი რამ მოხდა ჩვენს ცხოვრებაში, ერთად გვიხაროდა და გვტკიოდა დუშეთის ცხოვრების სიახლეები, პრობლემები, ყველაფერი, რასაც ადგილობრივი ხელისუფლება აკეთებდა და აკეთებს... და ეს საინფორმაციო ბიულეტენიც ხომ იმისათვის არსებობს, რომ თქვენი სათქმელი ხელისუფლებამდე მიიტანოს და, პირიქით, მათი გადაწყვეტილებები და ნაფიქრი გაგიზიაროთ.

სურვილი გვაქვს, კვლავაც ერთად ვიაროთ, გავუზიაროთ ერთმანეთს ტკივილიც და სიხარულიც. ამიტომაც გთხოვთ, მოგვწეროთ, გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება თქვენ მიერვე არჩეული ხელისუფლების მუშაობისადმი, იმ პროექტების მიმართ, რომელიც ბოლო პერიოდში ხორციელდება დუშეთში. შევეცდებით, კვლავაც აქტიურად გავაშუქოთ ის საკითხები, რომლებიც გაინტერესებთ. რედაქცია ელის თქვენს წერილებსა და გამოხმაურებას.

რედაქცია

ახალი აპარატურა კულტურის სახლისთვის

დუშეთის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრმა ქ. დუშეთის ილია ზაქაიძის სახელობის კულტურის სახლისთვის 288 490 ლარის ღირებულების სასცენო აპარატურა (განათებითა და საჭირო მოწყობილობებით) შეიძინა,

მათ შორისაა: თეატრალური განათება, კვამლის, ნისლის, თოვლის აპარატები, განათების სამართავი პულტი, აიპადი, სცენის აქტიური მონიტორი, აუდიო გამაძლიერებელი, ხმის დამუშავების ციფრული პროცესორი, დინამიური უსადენო ხელის, უსადენო მინი დათავზე დასამაგრებელი მიკროფონები და ყველა ის აქსესუარი, რაც საჭიროა სცენისა და თეატრისთვის.

„აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ათეული წელია, დუშეთის კულტურის სახლი მსგავსი აპარატურით არ აღჭურვილა. სრულად გამოიცვალა სცენის მოძველებული კონსტრუქცია. ამჟამად მიმდინარეობს მონტაჟი. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ხელი შევუწყოთ კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციას“, - აღნიშნა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორმა ჯემალ დამაცალაშვილმა.

წყარო - dusheti.gov.ge

სასკოლო-სპორტული ტურნირი გეზრბენში

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის, ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების” ორგანიზებით, ქ.დუშეთში ჩატარდა სასკოლო-სპორტული ტურნირი გეზრბენში.

ტურნირში მონაწილეობა მიიღეს დუშეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა.

საპრიზო ადგილები ასე გადანაწილდა:

ვაჟები:

I ადგილი - დაჩი ჟიჟიაშვილი (I საჯარო სკოლა)

II ადგილი - ლუკა ცქიმანაური (საშაბუროს საჯარო სკოლა)

II ადგილი - გოჩა ხოსრიაშვილი (I საჯარო სკოლა)

IV ადგილი - შალვა ზაქაიძე(არაგვისპირის საჯარო სკოლა)

გოგონები:

I ადგილი - ეთერ ბერბერაშვილი (არაგვისპირის საჯარო სკოლა)

II ადგილი - თათია ჭინჭარაული (ბარისახოს საჯარო სკოლა)

III ადგილი - თიკო კაპანაძე (არაგვისპირის საჯარო სკოლა)

IV ადგილი - ელენე სუარიძე (ფასანაურის საჯარო სკოლა)

გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ მედლები და სიგელები.

წყარო - dusheti.gov.ge

კომპოზიტორ შალვა დავითაშვილის შემოქმედების საღამო

ქ.დუშეთის სახელოვნებო სკოლაში კომპოზიტორ შალვა დავითაშვილის შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

მუსიკალურ საღამოზე მსმენელის წინაშე შალვა დავითაშვილის სახელობის მუსიკოსთა კონკურს-ფესტივალში გამარჯვებული და დუშეთის სახელოვნებო სკოლის წარჩინებული მოსწავლეები წარდგნენ.

კონკურსი ტარდება ყოველწლიურად შალვა დავითაშვილის საზოგადოების, ქ. თელავის მერიის, სსიპ-თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის მიერ, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირისა და ა(ა)იპ თელავის ნიკო სულხანიშვილის სახელობის N1 სამუსიკო სკოლის მხარდაჭერით;

თავდაპირველად კონკურსში მხოლოდ კახეთის რეგიონის მოსწავლეახალგაზრდები მონაწილეობდნენ, ხოლო, 2017 წლიდან უკვე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის დუშეთიდან, შეუერთდნენ შემსრულებლები.

ცნობისთვის: კომპოზიტორი შალვა დავითაშვილი დაიბადა 1934 წ. ქ. თელავში. იგი გახლდათ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ვაჟა-ფშაველას, ზურაბ ანჯაფარიძის და კომპოზიტორთა კავშირის პრემიის ლაურეატი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი. აღსანიშნავია, რომ კომპოზიტორს თავისი შემოქმედების დიდი ნაწილი შექმნილი აქვს ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებზე.

ღონისძიებას, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი მანანა ნარიმანიძე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მოწვეულ სტუმრებთან და მოსახლეობასთან ერთად ესწრებოდა.

წყარო - დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ოფიციალური ფეისბუკგვერდი

გაიმართა თეატრალური ფესტივალი „ოქროს ნიღაბი”

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრისა” და ილია ზაქაიძის სახელობის დუშეთის კულტურის სახლის ორგანიზებით გასულ თვეში თეატრალური ფესტივალი „ოქროს ნიღაბი” გაიმართა.

ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს დაბა ფასანაურის N1, სოფელ ბარისახოს საჯარო სკოლებმა და დუშეთის კულტურის სახლის ლიტერატურის და მეტყველების წრის წევრებმა.

ჟიურიმ ფესტივალის მთავარი პრიზი – გრან-პრი დაბა ფასანაურის საჯარო სკოლას მიანიჭა. მათ მიერ

შორენა ჯოჯუას ხელმძღვანელობით წარმოდგენილი იყო მიუზიკლი „მუსიკის ჰანგები“.

პირველი ადგილის მფლობელი გახდა ბარისახოს საჯარო სკოლა ზაზა გორელიშვილის ხელმძღვანელობით, თეატრალური წარმოდგენით „ბულბულის იუბილე“. ხოლო, მეორე ადგილი დაიკავეს დუშეთის კულტურის სახლის ლიტერატურისა და მეტყველების წრის წევრებმა თეატრალიზებული სპექტაკლისთვის „ნიკო ფიროსმანის ცხოვრება“ (ხელმძღვანელი ქეთევან ნავროზაშვილი).

ნომინაციებში - არტისტიზმი, ჟიურის სიმპათია, მაყურებლის სიმპათია, საუკეთესო თეატრალური კოსტიუმი - გამარჯვებულებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

ფესტივალში მონაწილე ყველა ბავშვი დაჯილდოვდა დიპლომით.

ღონისძიებას ქ. დუშეთის ილია ზაქაიძის სახელობის კულტურის სახლი მასპინძლობდა.

წყარო - dusheti.gov.ge

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N32

2024 წლის 31 მაისი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩანადირთკარში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე.“ ქვეპუნქტის და „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩანადირთკარში მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს 32-ე ქუჩის სახელი თანდართული რუკის შესაბამისად.

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.

3. განკარგულება გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

4. განკარგულება გადაგზავნილ იქნეს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და გამოქვეყნებულ იქნეს მიღებიდან 10 დღის ვადაში.

5. განკარგულება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში კანონით დადგენილი წესით მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.მცხეთა, სამხედროს ქუჩა N 17).

საკრებულოს თავმჯდომარე *კახაბერ ჩიტაური*

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N33

2024 წლის 31 მაისი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საკრამულში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე.“ ქვეპუნქტის და „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საკრამულში მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს 23-ე ქუჩის სახელი თანდართული რუკის შესაბამისად.

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.

3. განკარგულება გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

4. განკარგულება გადაგზავნილ იქნეს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და გამოქვეყნებულ იქნეს მიღებიდან 10 დღის ვადაში.

5. განკარგულება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში კანონით დადგენილი წესით მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.მცხეთა, სამხედროს ქუჩა N 17).

საკრებულოს თავმჯდომარე *კახაბერ ჩიტაური*

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N34

2024 წლის 31 მაისი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭონქაძის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ყვავილში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე.“ ქვეპუნქტის და „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭონქაძის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ყვავილში მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მე-3 ქუჩის სახელი თანდართული რუკის შესაბამისად.

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება .

3. განკარგულება გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

4. განკარგულება გადაგზავნილ იქნეს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და გამოქვეყნებულ იქნეს მიღებიდან 10 დღის ვადაში.

5. განკარგულება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში კანონით დადგენილი წესით მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.მცხეთა, სამხედროს ქუჩა N 17).

საკრებულოს თავმჯდომარე *კახაბერ ჩიტაური*

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N37

2024 წლის 31 მაისი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის დუშეთის ადმინისტრაციული ერთეულის ქალაქ დუშეთში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე.“ ქვეპუნქტის და „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის დუშეთის ადმინისტრაციული ერთეულის ქალაქ დუშეთში მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მე-4 ქუჩის სახელი თანდართული რუკის შესაბამისად.

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.

3. განკარგულება გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

4. განკარგულება გადაგზავნილ იქნეს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და გამოქვეყნებულ იქნეს მიღებიდან 10 დღის ვადაში.

5. განკარგულება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში კანონით დადგენილი წესით მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.მცხეთა, სამხედროს ქუჩა N 17).

საკრებულოს თავმჯდომარე *კახაბერ ჩიტაური*

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმთან დაკავშირებულ ინფორმაციას გამოეხმაურა

გავრცელებული ცრუ ინფორმაციის საპირისპიროდ, მეწყრული პროცესების მიუხედავად, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმს საფრთხე არ ემუქრება.

2024 წლის 26 მაისს დუშეთის მუნიციპალიტეტის (მაღაროსკარის თემი) სოფელ ჩარგალში ხანგრძლივი წვიმისა და მდინარე ჩარგლურას ადიდების შედეგად განვითარდა მეწყრული პროცესები, რამაც დააზიანა სახლ-მუზეუმის სიახლოვეს, მდინარე ჩარგლურას მარჯვენა მხარეს, კალაპოტის ნაპირსამაგრი ჯებირი და სახლ-მუზეუმთან დამაკავშირებელი ხიდის მარჯვენა ნაწილი.

27 მაისს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები დუშეთის მუნიციპალიტეტის (მაღაროსკარის თემი) სოფელ ჩარგალში ჩავიდნენ და ადგილზე გაეცნენ ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის - ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის მდგომარეობას. ადგილზე იმყოფებოდნენ გეოლოგებიც, რომლებმაც უკვე შეაფასეს მდგომარეობა და, წინასწარი ინფორმაციით, სახლ-მუზეუმსა და მის ტერიტორიას საფრთხე არ ემუქრება, ხოლო, შესაბამისი გეოლოგიური დასკვნების საფუძველზე ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად დაიგეგმება ნაპირსამაგრი სამუშაოები.

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად, პირველივე დღიდან, სტიქიის შედეგების აღმოფხვრის სამუშაოებში მონაწილეობს მცხეთა-მთიანეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია და დუშეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა.

წყარო - heritagesites.ge

წუთი წარსულიდან...

გალაკტიონი დუშეთში...

ფოტოებზე ასახულია წარსული - 1955 წლის აგვისტო. გალაკტიონი დუშეთს ეწვია. მოინახულა ჩარგალი და დაესწრო „ვაჟაობას''.

პოეტის დღიურს შემორჩა ჩანაწერები და შთაბეჭდილებები...

ჩანს, გენიალური მგოსანი მაინცდამაინც კმაყოფილი ვერ დარჩა ამ სტუმრობით, თუმცა საყვედურნარევ ჩანაწერებში საიმედოდ გაიჟღერებს სიტყვები: „ვახშამი. დიდებული საზოგადოება...''



ოჯახის სიწმინდის დღე

მსვლელობა ქ. მცხეთაში. 17 მაისი, 2024 წელი

საქართველოს თანამდევი უკვდავი სული...

ილია ჭავჭავაძის აზრები

სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ესა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს.

* * *

ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. დღესაც, მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავეს მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან: გაქართველდაო. ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორც-შეთვისებული, უძლეველი ხმალია და შეუღლეწელი ფარია მტრისა წინაშე. სიტყვას ქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას იგი სულ იმაზედ მოაქცევდა ხოლმე, რომ მამული და ეროვნება რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმინდას და უდიდეს საგანს, ერთად შეერთებულს, თავდადებით ამსახუროს, თავგანწირვით ამოქმედოს.

აი, სად და რაში ჰპოულობდა ჩვენი უწინდელი სამღვდელოება თავის სულიერს და ხორციელს ღონეს, თავის ძლიერებას, პატივისცემას! აი, როგორ გაიმაგრა სამღვდელოებამ სარწმუნოება ქრისტეში ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც გარშემო ვეშაპი მტრები ეხვევნენ და ჰლამობდნენ, ქრისტიანობა ძირიანად ამოეგდოთ. აი, რამ მოაგერიენებინა ამ პატარა ქვეყანას აუარებელი მტერი! მამული და ეროვნება მოაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული - მამულსა და ეროვნებას, და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაინძღვარა წინ, ათასხუთასი წელიწადი ომითა და სისხლისღვრითა გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა.

* * *

ქრისტეს რჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილის გასაერთებლად და შემოსაკრებად. ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა. დრო იყო ამისთანა და სხვა არა-რა ელემენტი მაშინ შემძლებელ არ იყო ეს ჩვენის ისტორიის დასაბამიდამ სასურველი ერთობა დაედგინა. სხვათა შორის, ქართველი ამისთვის უფრთხილდებოდა თავის რჯულს, რომელიც, თავის შინაგან ღირსების გარდა, დუღაბობას უწევდა ერთობასა. ამ სიკეთეს დიდი ხანია მიაგნეს ჩვენთა ბედის-გამგებელთა და არ არის ჩვენში არც ერთი სახელგანთქმული კაცი, ან მეფე, რომ, სხვათა შორის, ამ თვალით არ ეყურებინა ქრისტეს სარწმუნოებისათვის. ამიტომაც, მოაცალებდათ თუ არა პოლიტიკური ტრიალი ბედისა, ყოველი მათგანი სცდილობდა, არაფერს ზოგავდა, ქრისტეს რჯული, შინაგანის ღირსებით განდიდებული და მიმზიდველი, გარეთა ღირსებითაც განედიდებინათ, გაემშვენიერებინათ და მისი მონასტრები და ტაძრები ყველგან მოეფინათ ქრისტეს რჯულის სახსოვრად და სადიდებლად.

* * *

საქართველოს ერმა გადაიხსნა გული, შიგ განიბნივა იგი ჯვარი პატიოსანი და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავის კი არ შეარყევინა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მკვიდრად გაბნეული ჯვარი. მას აქეთ თხუთმეტი საუკუნე გულში ჯვრით და ხელში ხმლით იბრძოდა, ღვწოდა, სისხლსა ჰღვრიდა ქართველი კაცი და ნათელი ბნელზედ ვერავინ შეაცვლევინა.

ჩვენი ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულმოქმედი მხნეობა, თავგანწირვა, თავდადება, ვაჟკაცობა სულ იმ ნათლით არის გასხივოსნებული, იმ შარავანდედით არის მოსილი, რომელიც „ძელმა ჭეშმარიტებისამ“, წმინდა ნინოს მადლით და ღვაწლით აღმართულმა, მოჰფინა მთელს ჩვენს ქვეყანასა. ამ ძელზე სხივოსანის ასოებით, ქრისტეს წმინდა სისხლით დაწერილი იყო და არის იგი მცნება, რომელიც უდიდესია ყოველს მცნებაზედ: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“.

ამ მცნების მოძღვარს ეთაყვანებოდა ჩვენი ქვეყანა, იგი აღიარა ღმერთად და იმას აუნთო თავისი გული წმინდა სანთლად, რომელიც დღეს აქამომდე არ გამქრალა და არც გაჰქრება, მინამ არ გაჰქრება თვითონ ქართველიცა. ამ კაცთმოყვარე ღმერთისათვის იწამა ჩვენი ქვეყანა, ამას ანაცვალა, მას შესწირა ყოველივე, რაც კი ადამიანს საბედნიეროდ აქვს მონიჭებული, ეკლის გვირგვინი დაიდგა თავზედ, თხუთმეტი საუკუნე გულგაუდრეკლად ატარა თავ-პირდასისხლიანებულმა ჩვენს დრომდე შეუმწიკვლელად მოიტანა

* * *

დიდი წამება დიდბუნოვნების ნიშანია, როგორც დიდი ძლევამოსილება. დიდი წამება იგივ დიდი გამარჯვებაა, რომელიც წილად ხვდება ხოლმე დიდბუნოვანს კაცსა, ხოლო გამარჯვებული ბედნიერია იმიტომ, რომ თვითონაც სტკბება მით, რაც გამარჯვებას მოაქვს, და წამებული კი თვით იწვის სანთელსავით და სხვას კი გზას უნათებს.

ამიტომაც ეკლიანი გვირგვინი წამებულისა უფრო უანგაროა, უფრო მიმზიდველია, უფრო საგულმტკივნეულოა და, მაშასადამე, უფრო მშვენიერი, სასახელო და სადიდებელი. მარტო ამ წამებულთა ჰლოცულობს კაცობრიობა, მარტო ამ წამებულთა აღიარებს იგი წმინდანებად და თაყვანს სცემს ლოცვითა და კურთხევითა.

ეკლიანი გვირგვინი, ჩვენს დღემდე მოტანილი ჩვენთა წინაპართაგან, ამ მშვენიერებითა ჰშვენის, ამ სახელითა სახელოვნობს, ამ დიდებით ჰდიდებულობს. თუ ვისმე სამართლიანად ეთქმის, რომ თვით დაიწვნენ და სხვას კი გზა გაუნათესო, ეს ჩვენს მამა-პაპას ეთქმის და მადლობელნი შვილნი ლმობიერებით პირქვე უნდა დავემხოთ მათ საფლავთა წინაშე და ვუგალობოთ დიდება დიდებულთა და ქება ქებულთა.

* * *

მოგვევლინა წმინდა ნინო, გვამცნო და გვასწავლა ქრისტეს რჯული და ახალმა მშვენიერმა აღთქმამ განაახლა ჩვენი ქვეყანა ახალის ცხოვრებისათვის. ქართველმა ამ რჯულს, ამ ახალს აღთქმას, შეუერთა ძველისაგან ყოველივე ის, რაც-კი რამ ძვირფასია ადამიანისათვის და რაც თავის-დღეში არ დაძველდება, მინამ ადამიანი არსებობს: შეუერთა მამული და ეროვნება. ეს სამი ერთმანეთის ღირსი საგანი ისე ჩაიწნენ, ისე ჩაქსოვდნენ ერთმანეთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა - რჯულის დაცვად. რჯული ჩვენი მამულის, ჩვენი ეროვნების ხმლად იქცა ზედმისევისათვის და ფარად ზედმოსეულთათვის.

* * *

წმინდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამცთუ სულიერად, არამედ ხორციელადაც. იმა უდიდესმა მოძღვრებამ, რომელიც ქრისტე ღმერთმა მოუვლინა ქვეყანას ხსნად და ცხონებად, თავისი ძლევამოსილი კალთა გადააფარა ჩვენში ჩვენს მამულს, ჩვენს ეროვნებას, ვითა ობოლნი შეიკედლა, თავისის ღვთაებურის ძალ-ღონით გამოჰზარდა, შეჰმოსა, შთაუდგა გული რკინისა, გაუმძღვარა ჯვარი პატიოსანი და ძელი ჭეშმარიტებისა. და, აი, ათასხუთასი წელიწადია, ამ ძალ-ღონით ქრისტიანობამ შემოგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნობა.

ქრისტიანობის მოფენა და დამკვიდრება თითონ ცალკედ, თავსითავად დიდი ღვაწლია, და რომ ქრისტიანობამ ქვითკირსავით შეგვკრა და გაგვამაგრა, რომ ქრისტიანობა გაგვიძღვა მამულისა და ეროვნების შერჩენისა და ხსნისათვის, ღვაწლი იგი გვიორკეცდება, გვიდიდდება, გვიძლიერდება. ეგ გაორკეცებული, ეგ განდიდებული ღვაწლი დაგვდო ჩვენ ჩვენმა განმანათლებელმა წმინდა ნინომ. აი, რით არის მართლა სადიდებელი, მართლა სადიდ-დღესასაწაულო იგი დღე, როდესაც ჩვენი ეკლესია დიდებით იხსენიებს ამ მოციქულთა-სწორს ქალწულსა. ამა ღვთაებურის მადლით მოსილმა მოციქულმა დაგვაწაფა დაუშრობელს წყაროს ღვთაებურის ჭეშმარიტებისას და მოგვივლინა იგი მოძღვრება, რომელმაც იშვილა ჩვენი მამული, ჩვენი ეროვნება, და ერთსაც და მეორესაც უპატრონა დღემდე.

* * *

ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავწირეთ, ცოლ-შვილი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისთვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს - სამართლიანის თავმომწონებით ვეძახით.

* * *

სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი - აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებასა.

* * *

საქართველო, როცა-კი მოიცლიდა ხოლმე გარეშე მტერთა ზედმოსევისა და მოგერიებისაგან, მაშინვე შეუდგებოდა ხოლმე ქრისტეს აღსარების განმტკიცების და გაძლიერების საქმესა. როცა-კი ქვეყნის მდგომარეობა ნებას აძლევდა, ქართველნი, ცნობილნი სულიერის მოღვაწეობითა და აღტყინებულნი ღვთის მოსაობით და სარწმუნოების გრძნობითა, გამოდიოდნენ გამავრცელებლად და მოსარჩლედ მართლმადიდებელის სარწმუნოებისა აღმოსავლეთში: მცირე აზია, სირია და თვითონ ბალკანეთის ნახევარკუნძული თვისდა ახლო მახლო კუნძულებითა დღესაც ჰმოწმობენ ქართველთა მოღვაწეობას სარწმუნოებისათვის. აქ ყველგან მრავალგვარი ნაშთია დღესაც უტყვ, მაგრამ უტყუარ მოწამედ იმისა, რომ გულმოდგინებას ქართველებისას სარწმუნოებისათვის შორსაც გაუდგამს ფეხი და ხელი გაუწვდენია. მონასტრები, ქართველთა ხარჯით და ფულით აშენებულნი, არა ერთი და ორი დღესაც ჰღაღადებს ათონის მთაზედ, სინაზდ, სირიაში, იერუსალიმის ახლო-მახლო, რომ ქართველთა თაგვამომეტებით და დიდის მხნეობით უღვაწნიათ თავის ქვეყნის გარეთაც სადიდებლად თვისის სარწმუნოებისა.

საინფორმაციო ბიულეტენი „დუშეთის მაცნე”

ინტერნეტითაც ხელმისაწვდომია

მკითხველს საშუალება ეძლევა, ელექტრონულ ვერსიას გაეცნოს Facebook-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გვერდზე.

ჩვენი ქალაქის წარსულიდან...

„ბევრგან შეგხვდებათ ისტორიულ საბუთებში დუშეთი. თვით თეიმურაზ პირველი ერთდროს ცხოვრობდა დუშეთში და აქედან განაგებდა სახელმწიფოს, როგორც კახეთის მეფე (1636-1648), აქედან უგზავნიდა იგი შაჰს ძვირფას საჩუქრებს და, ამავე დროს, სთხოვდა პატიებას. შაჰმა მიიღო საჩუქრები, აპატია, უბოძა ხალათი და დაუბრუნა მას სამკვიდრო ქალაქი.

დუშეთი შედიოდა არაგვის საერისთავოში, ერისთავების რეზიდენცია იყო ანანურის ციხე, მაღლობზე აშენებული. ქსნის ერისთავ შანშეს, რომელსაც შური ჰქონდა არაგვის ერისთავისა, 1735 წელს დაქირავებულ ოსების დახმარებით დაეცა ანანურს და ორი კვირის ბრძოლის შემდეგ მოხერხებითა და ღალატით აიღო ციხე და მთლად ამოწყვიტა არაგვის ერისთავის ოჯახი. გადარჩა მარტო ერთი პატარა ვაჟი, რომელიც გაბარებული ყოფილა, მაშინდელ ჩვეულებისამებრ, ანანურზე ახლო მდებარე სოფელ ავენისში.

მეფე თეიმურაზ მეორემ დროებით არაგვის ერისთავობა ჩააბარა 1743 წელს კახეთის თავადს, ჯიმშერ ჩოლოყაშვილს, რომელმაც, როგორც ამბობენ, არ მოისურვა სისხლით გასვრილ ანანურში ცხოვრება და დასახლდა დუშეთში, სადაც ააშენა ციხე მოსახლეობისა და მოვაჭრე ხალხის დასაცავად. ჯიმშერ ჩოლოყაშვილი დიდხანს არ განაგებდა არაგვის საერისთავოს. როდესაც ის აცილებდა ანტონ პირველ კათალიკოსს, რუსეთში მიმავალს, 1756 წელს მხლებლებმა მოკლეს ის სოფ. ნაზღაიძეში.

მეფე ერეკლე მეორე ქალაქად აცხადებს დუშეთს და არაგვის ხეობას აბარებს თავის შვილს, ვახტანგ-ალმასხანს, რომელიც სახლდება დუშეთში, იწვევს მოვაჭრე სომხებს და აშენებს ბაღებს, შიგ ციხეში აშენებს პალატებს, ეკლესიას და აწესებს კარის წესებს ბიზანტიის და, ნაწილობრივ, სპარსეთის ეთიკის მიხედვით.

როდესაც 1798 წელს გენერალმა ლაზარევმა რუსეთიდან გადმოიარა რუსეთის ჯარებით და შევიდა სატახტო ქალაქ თბილისში, ის თავის აღწერაში, სხვათა შორის, ასახელებს დუშეთსა და ახალგორს, როგორც დაბებს.

1801 წელს საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, დუშეთი შედის ქართლის ერთ-ერთ მაზრაში და გადაკეთებულია, როგორც „Заштатный город“.

1803 წელს ბატონიშვილი ვახტანგი, გადასახლების გამო, რუსეთის მთავრობის განკარგულებით ტოვებს სამუდამოდ დუშეთს. დუშეთიც ტოვებს სამაზრო ქალაქის სახელწოდებას და ამ სახელს უთმობს ანანურს, რომელსაც უპირატესობას აძლევენ, როგორც მდიდარს, წყლებითა და საძოვრებით.

1821 წელს ისევ გადმოაქვთ დაწესებულებები დუშეთში, რომელიც მეორედ იღებს მაზრის ქალაქის სახელს.

1840 წლის 10 აპრილის სენატის „უკაზით“ წესდება საქართველო-იმერეთის გუბერნია და ახალი ადმინისტრაციული გადანაწილებით დუშეთი რჩება შტატგარეშედ.

ასე იცვლება დუშეთის სახელწოდება და, ამავე დროს, მისი მდგომარეობა, რასაც, ცხადია, გავლენა ჰქონდა მის განვითარებაზე.

1867 წელს, როდესაც საერთო ადმინისტრაციული და სასამართლო დაწესებულებანი ამიერკავკასიაში ისევ აღადგინეს, დუშეთი ისევ გადაიქცა სამაზრო ქალაქად.

პლატონ იოსელიანის სიტყვით, დუშეთი წინათ შედგებოდა შემდეგი უბნებიდან: წინდუშეთი, ზემო დუშეთი და სასახლის დუშეთი. ეს უბნები ახლა გადაქცეულია სოფლებად - კობიანთ კარად, ჭილაანთ (მილახვრიანთ) კარად და ვარსიმაანთ კარად. იმავე იოსელიანის სიტყვით, დუშეთი წინათ ბევრად დიდი უნდა ყოფილიყო, ამას მოწმობს სახლების ნანგრევები და გაუქმებული ეკლესიები.

1862 წელს დუშეთის მოსახლეობა უდრიდა 2320 სულს. ქალაქის შემოსავალი არ აღემატებოდა 2305 მანეთს. ხარჯები უდრიდა 1951 მანეთს. სახლების რაოდენობა უდრიდა 88-ს, ქვიტკირის დუქნებისა - 45-ს და ხისა - 10-ს. ვაჭრობა არ იყო ამ დროს ძალიან განვითარებული; იყო რამდენიმე შეძლებული და გამოჩენილი ვაჭარი, რომლებსაც ჰქონდათ სავაჭროები ქ. ვლადიკავკაზში. ვაჭრები ხშირად დაიარებოდნენ მოსკოვში, ნიჟნი-ნოვგოროდში ცხენებით, ახლად გაყვანილი სამხედრო გზით. პლატონ იოსელიანს მოჰყავს უცხო მწერლის - გერენის სიტყვები: „მაშინდელ დუშეთში, გამოჩენილი ვაჭრების ოჯახში, ნახავდით რუსეთიდან მოტანილ კულტურულ საგნებს. მოიპოვებოდა უცხო ქვეყნების ნივთებიც. რუსეთიდან მოჰქონდათ სხვადასხვა ქარხნის ჭურჭელი, წიგნები, გრავიურები, იშვიათი სურები და მრავალი ოჯახური წვრილმანი“.

დუშეთში არსებობდა საფეიქროები, სამღებროები და საკირეები. რაც შეეხება სწავლა-განათლებას, დუშეთის მაზრაში ამ მხრივ ცუდი მდგომარეობა იყო. 1828 წელს აქ დააარსეს სამაზრო სასწავლებელი, რომელიც ხან გადაიქცეოდა დაწყებით სასწავლებლად, ხან ისევ უბრუნდებოდა წინანდელ მდგომარეობას. ხელმოკლე ხალხი კმაყოფილდებოდა დუშეთში მიღებული სწავლით, რადგან მაშინ ადვილი არ იყო შვილების თბილისში გაგზავნა სასწავლებლად. სასულიერო წოდების ხალხი მაინც ახერხებდა შვილებისათვის სწავლის მიღებას სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში, რომელიც თბილისში დაარსდა 1817 წელს თავად-აზნაურებს მიეცათ შემდეგ საშუალება, თავიანთი შვილები გამოეზარდათ უფასოდ სამხედრო სასწავლებლებში და კადეტთა კორპუსებში - ვორონეჟში, ორიოლში, მოსკოვში, პეტერბურგში. თბილისში შეაგროვებდნენ ბავშვებს და „ფურგუნებით“ გზავნიდნენ სამხედრო გზით. მე გამიგია, რომ დუშეთიდან დედები, თმაგაშლილები, ტირილით აცილებდენ თავიანთ შვილებს ფეხით ანანურამდე, როგორც სამუდამოდ დაკარგულებს. ბევრი ყოფილა დუშეთიდან წასული, რომლებმაც მიიღეს იქ სწავლა-განათლება და დაბრუნდნენ დიდი ხნის შემდეგ საქართველოში...“

გიორგი მოზდოკელი
„ილიას დროინდელი დუშეთი“.

ილია და დუშეთი განუყოფელია...

160 წლის წინ დუშეთს დიდი ილია ესტუმრა და ეს მადლიანი სტუმრობა 9 წელიწადს გაგრძელდა...

დუშეთმა მიიღო ილია და თავისი ტკივილიანსიხარულიანი გული გადაუშალა.

ილიამაც თავი არ დაზოგა:

კიდეც ემშობლა და კიდეც ეშვილა აქაურობას.

აქ ქმნიდა საუკეთესო ნაწარმოებებს,

აქ მეგობრობდა და ისვენებდა,

აქ განსჯიდა სამართალს და აქვე მოსდიოდა გული ზოგჯერ ზოგიერთ „უკაცურნ კაცთა“ გამო...

ბევრი მოიმდურა, ბევრიც იხსნა და გადაარჩინა.

და როცა მოახლოვდა გაცილების დრო, 1873 წლის მაისი, დუშეთი სულითა და გულით გამოეთხოვა მას.

გამოსამშვიდობებელ წვეულებაზე პლატონ იოსელიანმა ისეთი სიტყვით მიმართა, ბევრს რომ არ ღირსებია არც მანამდე და არც - იმის მერე...

* * *

დუშეთს წილი ჰქონია ღმერთთან, რომ ილიას სუნთქვა და გულისცემა ესმოდა...

ეს იყო ჩვენი ბედიც და ბედისწერაც.

160 წელია, ილია და დუშეთი განუყოფელია.

გაივლის კიდევ ბევრი წელი,

ბევრი რამ შეიცვლება და გადასხვაფერდება...

მაგრამ თუ ოდესმე რამ არ დაავიწყდება ჩვენს მიწა-წყალს - ეს, უპირველესად, ილიასთან ყოფნის წლები იქნება...

ილია ჩვენთვის ის სიწმინდეა, რომელთანაც მიახლების ღირსი სიცოცხლეშივე გაგვხადა ღმერთმა...

... და

არასოდეს მოშლოდეს დუშეთს ამ წილხვდომილობის მადლი...

რედაქტორი
მიხეილ ჭონქაძე
✉ მისამართი: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ.№27
(ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული).
გაზეთი დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „ფავორიტი სტილში“

დუშეთის მაცნე

გამოდის 2007 წლის მარტიდან
დაბეჭდილ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი, ან _ მითითებული ორგანიზაცია